41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ფოთელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ფოთის მერობის კანდიდატისა და ფოთის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ფოთის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ფოთი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲗᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ფოთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 19,5 მილიონი ლარი იყო, 2021 წლის გეგმით – 32,7 მლნ ლარს შეადგენს. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – 2013 წელს ფოთის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 12,3 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის გეგმის მიხედვით, საპროგნოზო მაჩვენებელი 20,7 მლნ ლარია.

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე. ქალაქ ფოთში მეწარმეობის განსავითარებლად, გაგრძელდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“** მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 12 საწარმო (ჯამურად 65,5 მლნ ლარზე მეტი, დასაქმდა 1890 ადამიანი). ამავე პროგრამის **სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 1 სასტუმროს მშენებლობას (ინვესტიცია 2.4 მლნ ლარი, დასაქმდა 45 ადამიანი, ქალაქს კი 24 ახალი სასტუმროს ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** ფოთში, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 205,3 ათასი ლარის გრანტი გაიცა. სულ განხორციელდა 278,9 ათასი ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 22 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოება – 11, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 11 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს, პირველად, საქართველოს ისტორიაში, საქართველოს 4 დაცული ტერიტორია: მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, 2019 წელს UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის „კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ ნომინაციაზე იქნა წარდგენილი. UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები, წარმოადგენს კავკასიის ეკორეგიონისა და შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები გამოირჩევა მისი უნიკალური ეკოსისტემებითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, უსიამოვნო სუნის გავრცელებისა და ხმაურთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების მიზნით, 2020-2021 წლებში, განხორციელდა ფოთში არსებულ სამრეწველო ობიექტებში, მათ შორის, თევზის გადამამუშავებელ საწარმოებში გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის კომპლექსური ინსპექტირება. გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით საწარმოებს დაევალათ შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მათ შორის, თევზის გადამამუშავებელ საწარმოებს დაევალათ, სათანადო გამწმენდი ნაგებობების მოწყობამდე არ განახორციელონ საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული და ტერიტორიაზე წარმოქმნილი გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვება ზედაპირულ წყლის ობიექტში.

ყოველწლიურად განხორციელდება ფოთში განთავსებული საწარმოების ინსპექტირება მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის, ასევე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

ფოთისთვის სანაპირო ზოლის გამორეცხვის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს საკითხზე მუშაობა, იგეგმება სანაპირო ზოლის გამაგრება, ტექნოლოგიურად და სისტემურად მუშავდება რიონის ქალაქში შემავალი შტოს გაფართოება და დამატებითი ნაშალი მასის სანაპიროსთვის მიწოდების გეგმის შემუშავება დასრულდა, იგეგმება აქტიური სამუშაოების დაწყება.

უკანასკნელ წლებში მოწესრიგდა ნაგავსაყრელი და ნარჩენების მართვა თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით ხდება. შესაბამისად, ნარჩენების მდინარე რიონში ჩადინების ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ქალაქში დაიწყო საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ორი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. ამ ნაგებობებმა უნდა უზრუნველყოს ქალაქისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაცვა დაბინძურებისგან, მდინარეებსა და ტბებში მოხდება გაფილტრული, უვნებელი წყლის ჩადინება.

ფოთში ყოველწლიურად მიმდინარეობს მწვანე ნარგავების გაშენება, გადაბელვითი სამუშაოები და სანიტარული ჭრა. სისტემატურად ხორციელდება პარაზიტი მწერების წინააღმდეგ მიმართული შეწამვლითი სამუშაოებიც.

რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,** მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის, ასევე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებს და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**

ფოთის ახლადრეაბილიტირებული ცენტრალური პარკი

- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ფოთის ტურისტული პოტენციალის ათვისების მიზნით, განხორციელდა ქალაქის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია და მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევა. 2016-2017 წლებში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით, ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისთვის.

2014 წელს, კოლხეთის ეროვნულ პარკში, მდინარე ფიჩორის სანაპიროზე, მოეწყო საველე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა (37 995 ლარი). 2015 წელს ჭურიის უბანში აშენდა კოშკურები და მოეწყო ბილიკები (67 619 ლარი). ამავე წელს ვიზიტორთა ცენტრს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები (159 896 ლარი). 2016 წელს მოეწყო კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის საგამოფენო დარბაზი (43 014 ლარი). 2017 წელს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ადმინისტრაციულ შენობასა და ვიზიტორთა ცენტრს (228 950 ლარი). 2018 წელს განხორცილელდა სხვადასხვა უბნის კოშკურებისა და ვიზიტორთა ცენტრის სარემონტო სამუშაოები (ჯამურად 298 060 ლარი).

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**
- **სახელმწიფოს მხრიდან მომავალ წლებში გაგრძელდება ცნობიერების ამაღლების ტრენინგები და სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებები.**

სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარება

ქვეყნის სავაჭრო და სატრანზიტო პოტენციალის ათვისებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამ მიმართულებით, ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მზარდი ნაკადების მომსახურებისთვის შესაბამისი გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით, კორპორაციამ „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ დაიწყო ჩრდილოეთ გაფართოების პროექტი, რომელიც მოიცავს ახალი 1 700 მ მოლის, 700-მეტრიანი სანაპირო კედლისა და ტვირთების ეზოს მშენებლობას, რომელიც საბოლოოდ დაუკავშირდება სარკინიგზო/სახმელეთო ქსელს. ასევე, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ნავმისადგომს ქალაქ ფოთში.

- **სანავსადგურო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაგეგმილია ფოთში APM-ტერმინალის გაფართოება და Pace Group-ის ახალი ტერმინალის მშენებლობა (პროექტი დაწყებულია და მას აშშ-ს მთავრობის კერძო საინვესტიციო კორპორაცია – OPIC 50 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით აფინანსებს);**
- **დაგეგმილი პროექტის მიხედვით, ფოთის გაფართოებული ნავსადგური შეძლებს მოემსახუროს 300 მეტრი სიგრძის ხომალდებს, 13,5 მეტრამდე სიღრმის 700 მეტრი სიგრძის ნავმისადგომზე, საიდანაც 400 მეტრი განსაზღვრული იქნება მყარი, ხოლო 300 მეტრი – საკონტეინერო ტვირთებისთვის. ნავსადგურის ტვირთების წლიური მოცულობა დამატებით გაიზრდება 10 მლნ ტონით. პროექტი ვრცელდება ჩრდილოეთ მიწის ნაკვეთებსა და მის მომიჯნავე მიწებზე, რომელთა ნაწილი ზღვაში მდებარეობს, ხოლო ნაწილი – ზღვის სანაპირო ზოლთან. პროექტის საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 170 მილიონი აშშ დოლარია.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან ახლის შექმნა. მათ შორის როგორც სამეგრელოში, ისე უშუალოდ ფოთში დაგეგმილია მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მთლიანად რეგიონის განვითარებას.

ფოთში განხორციელდა წყალმომარაგების მასშტაბური პროექტები, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 26 მილიონ ლარს აღემატება. შედეგად, 22 000 ოჯახს გაუუმჯობესდა ხარისხიან წყალმომარაგებაზე 24 საათიან რეჟიმში წვდომა.

ფოთის მუნიციპალიტეტში იერუსალიმის ქუჩის სრული რეაბილიტაცია

ქალაქ ფოთში მომდევნო, 2021-2022 წლებში, ჯამურად როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების მიერ იგეგმება შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- **ფოთის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა – 49 მილიონ 121 ათასი ლარი;**
- **ფოთის წყალარინების სისტემების მშენებლობა – 105 მილიონ 092 ათასი ლარი;**
- **ფოთში, ამ ეტაპზე, უკვე მიმდინარეობს ან დაგეგმილია 60 მილიონ ლარზე მეტის ინფრასტრუქტურული პროექტები.**

თევზმჭერი ფლოტის განახლება

ᲑᲔᲥᲐ ᲕᲐᲭᲐᲠᲐᲫᲔ: „ᲩᲕᲔᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲗ ᲪᲝᲓᲜᲐᲖᲔ, ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ“!

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ“ ᲑᲔᲥᲐ ᲕᲐᲭᲐᲠᲐᲫᲔ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲤᲝᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲐᲥ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ, ᲐᲥ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲤᲝᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲓᲐᲜ ᲘᲪᲐᲕᲡ.

2020 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ 1 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ.

ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲠᲐᲒᲑᲔᲝᲑᲐ ᲡᲣᲠᲓᲐ. ᲠᲐᲒᲑᲡ 8 ᲬᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲜᲘᲪ ᲘᲧᲝ. ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲨᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲡᲔᲐ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ – ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ, ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲙᲔᲗᲝᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠ ᲨᲔᲓᲔ�გᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲛᲐᲜ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲓᲔᲑᲡ ᲚᲔᲚᲝᲡ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

დაიბადა 1991 წლის 1 ივლისს, ქალაქ ფოთში. 1997-2009 წლებში დაამთავრა ქალაქ ფოთის №3 საჯარო სკოლა.

სკოლის პერიოდში, 2001-2009 წლებში იყო ფოთის სარაგბო კლუბ „კოლხი რაინდების“ გუნდის კაპიტანი.

2009-2013 წლებში დაამთავრა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით ეკონომისტ-ფინანსისტი.

2013-2016 წლებში მუშაობდა შპს „ელ ჯეი ბროკერიში“ – მთავარ მენეჯერად. 2016-2017 წლებში – ყაზახეთში, ხორცპროდუქტების მწარმოებელ კომპანია „კაზგრუ ჰოლდინგში“ – ლოჯისტიკის მენეჯერის პოზიციაზე.

2017-2020 წლებში იყო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ხოლო 2020 წლიდან დღემდე, არის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

– ბექა, ფოთში თქვენს ოჯახს რით იცნობენ და როგორი ბავშვობა გაატარეთ აქ?

– მთელი ჩემი ბავშვობა და ცხოვრება ფოთს უკავშირდება. ეს ჩემი ქალაქია. ფოთში ჩემს ოჯახს კარგად იცნობენ. მამა, ვახტანგ ვაჭარაძე ეკონომისტია. ბიზნესსაქმიანობას ეწევა და უკვე დაახლოებით 15 წელია ყაზახეთშია. დედა, ინგა მასხულია, იურისტი გახლავთ და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა პროფესიით. მყავს უმცროსი და – ნინო და უფროსი ძმა – შოთა. ფოთში გატარებული ბავშვობა ტკბილად მახსენდება. სამნი ვიყავით და ზაფხულობით ბიძაშვილ-მამიდაშვილები შემოგვემატებოდნენ ხოლმე. დროს სულ ერთად ვატარებდით. იყო დიდი ჟრიამული. სპორტი ძალიან მიყვარს და ფოთში რაც კი სახეობა იყო, ყველა მოვიარე. ძიებაში ვიყავი. საბოლოოდ, თავი ყველაზე კარგად რაგბიში ვიგრძენი. მაშინ ფოთში რაგბის სკოლა ახალი შექმნილი იყო და უფროსებთან მიწევდა ვარჯიში. შემდეგ ასაკობრივი გუნდი შეიქმნა და გუნდის კაპიტანიც გავხდი. რაგბის დაახლოებით 8 წლის განმავლობაში ვთამაშობდი. სპორტის ამ სახეობამ უამრავი მეგობარი შემძინა. მათთან დღემდე ვმეგობრობ და ბევრი კარგი მოგონებაც გვაქვს. შეკრებებზე საზღვარგარეთაც ვმოგზაურობდით. რაგბიმ ბევრი რამ მასწავლა – გუნდურობა, ბრძოლა, ერთმანეთის დახმარება. გარკვეული პერიოდი ნაკრებშიც ვიყავი. შავი ზღვის ტურნირში, რომელიც ფოთში ჩატარდა, ჩვენი გუნდიც მონაწილეობდა. დღემდე მახსოვს ის განცდა, თამაშის წინ ჰიმნი რომ გაჟღერდა. საოცარი სიამაყის შეგრძნება იყო. შემდეგ დადგა ჩემ ცხოვრებაში ეტაპი, როცა არჩევანი უნდა გამეკეთებინა – ან ბოლომდე რაგბიში უნდა ვყოფილიყავი, ან დრო სწავლისთვის დამეთმო და ამიტომ მომიწია რაგბიზე უარის თქმა.

– ზოგადად, ხელისუფლება თუ დგას სპორსტსმენების გვერდით დღეს და სხვადასხვა სახეობებს ხელშეწყობა აქვს?

– რა თქმა უნდა, აქვს. რაგბის მაგალითზე რომ ვთქვა, „ქართუ“ ფონდის დაფინანსებით ფოთში ევროსტანდარტის მოედანი გვაქვს, რამაც ხელი შეუწყო რაგბის განვითარებას...სამომავლოდ, გვინდა აქ ძლიერი, უმაღლესი ლიგის გუნდი შევქმნათ. ამ საკითხში მეც მაქსიმალურად ვარ ჩართული და მათ გვერდით ვდგავარ.

– არჩევანი ეკონომიკის ფაკულტეტზე მამის გავლენით შეაჩერეთ?

– ალბათ მამის გავლენაც იყო, თუმცა ბავშვობიდან სულ მეგონა, რომ ბიზნესში უნდა ვყოფილიყავი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ერთ-ერთ კერძო კომპანიაში ვმუშაობდი, შემდეგ წელიწადნახევარი ყაზახეთში ვიყავი. იქაც კერძო კომპანიაში ვიმუშავე. თავიდან ლოჯისტიკის მიმართულება ჩავიბარე, ბოლოს კი დირექტორობა შემომთავაზეს. ყაზახეთში ოჯახიც მყავდა წაყვანილი. მაშინ ჩემი შვილი პატარა იყო. იქ რთული პირობებია – ზამთარში ძალიან დიდი ყინვაა. მეუღლეს და შვილს იმ გარემოსთან ადაპტაცია ძალიან გაუჭირდათ, ამიტომ, გადაწყვეტილება მივიღე და საქართველოში დავბრუნდი. მითუმეტეს, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ იქ დროებით ვიყავით და აუცილებლად დავუბრუნდებოდით ჩვენს საყვარელ ქალაქს, სადაც თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობთ.

– ასეთი განწყობა მამასაც ხომ არ აქვს და ბიზნესის საქართველოში გადმოტანაზე ხომ არ ფიქრობს, მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ბიზნესგარემო უკეთესობისკენ შეიცვალა?

– ნამდვილად, „ქართული ოცნების“ პირობებში, საქართველოში ბიზნესმა ამოისუნთქა. ქვეყანაში ბიზნესის საკეთებლად თავისუფალი გარემოა და მეტიც, მაქსიმალური ხელშეწყობაცაა ხელისუფლების მხრიდან. ამ ფონზე, მამა ცდილობს ბიზნესი ნელ-ნელა საქართველოში გადმოიტანოს და აქ განავითაროს. თავის დროზე წასვლაც იმიტომ მოუწია, რომ აქ ხელშემწყობი გარემო არ იყო. ზოგადად, საქართველოში და კონკრეტულად ფოთშიც, ბიზნესის განვითარება უმნიშვნელოვანესია. აუცილებელია, რომ ბიზნესის წარმომადგენლები მაქსიმალურად დავაინტერესოთ და ინვესტირებისთვის კომფორტული პირობები შევუქმნათ.

– საქართველოში დაბრუნების შემდეგ, კერძო სექტორის ნაცვლად, ადგილობრივ ხელისუფლებაში აღმოჩნდით. პოლიტიკით რატომ დაინტერესდით?

– პოლიტიკურად ჩემი გააქტიურება იმან განსაზღვრა, რომ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი იყო ირაკლი ხახუბია, რომელთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა და მისგან ვიცოდი ის მიზნები და გეგმები, რაც ხელისუფლებას ფოთთან დაკავშირებით ჰქონდა. 2017 წელს არჩევნებში მონაწილეობა მივიღე. „ქართული ოცნების“ პირობებში ფოთის მიმართ მეტი ინტერესი გაჩნდა. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების დამაკავშირებელი მაჟორიტარი დეპუტატი ცდილობდა, ჩვენი ქალაქის განვითარებისთვის, რაც შეიძლება მეტი რესურსის მობილიზება მომხდარიყო. განსაკუთრებით ბოლო 4 წელში, ფოთში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა.

– კონკრეტულად რა შეიცვალა ფოთში ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ?

– „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ძალისხმევით, ფოთი მივიწყებული აღარ არის და ინფრასტრუქტურას, ჯანდაცვას, განათლებასა თუ სხვა სფეროებს უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა. თავის დროზე თვითმმართველ ქალაქებს თავისი შესაძლებლობების რწმენა სწორედ ფოთმა მისცა და ამ გზას გავაგრძელებთ. როგორც მოგახსენეთ, ბევრი რამ უკვე გაკეთდა და კეთდება. მაგალითად, სპორტული კომპლექსი, რომელიც 14-მილიონლარიანი პროექტია. რაგბისა და ბავშვთა ფეხბურთის ბაზა გაკეთდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა საფეხბურთო სტადიონს, აქ სამუშაოები ახლაც გრძელდება, ემატება ტრიბუნა და 2023 წელს ჩატარდება ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი. საზღვაო აკადემია „ქართული ოცნების“ გუნდის ერთ-ერთი მიღწევაა. ამ პროექტის განხორციელებაში აქტიურად იყო ჩართული მაჟორიტარი დეპუტატი. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, შესაბამისი

განათლება ფოთში მიიღონ, აქ დარჩნენ და მიღებული ცოდნაც, ფოთს მოახმარონ.

– ბექა, საკრებულოში პირადად თქვენი საქმიანობაც ასეთივე წარმატებული იყო?

– საკრებულოს ფუნქციაა თანაქალაქელების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები წინ წამოწიოს, ისინი ბიუჯეტში ასახოს და შემდეგ აკონტროლოს მერიის შესაბამისი სამსახურების მუშაობა. ამ კუთხით საკმაოდ აქტიური ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი გუნდი ვართ, გუნდური პრინციპით ვმუშაობთ და მომავალშიც ასე იქნება, ყოველთვის ვცდილობდი, კრიტიკულები ვყოფილიყავით და გარკვეული შენიშვნებიც მიგვეცა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა კონკრეტული სამსახურის მიმართ შენიშვნები დავაფიქსირეთ. ზოგადად, საკრებულოს მუშაობას დადებითად ვაფასებ. წინა პლანზე წამოვწიეთ მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, განვახორციელეთ ან დავგეგმეთ. ახალგაზრდების ხელშეწყობა ჩემთვის პრიორიტეტია. ამ მიმართულებით, ბევრი ნაბიჯი გადავდგით: მინიმოედნებს მივაქციეთ ყურადღება, 13 – უკვე შეკეთდა, წელს 4-ის რეაბილიტაცია დაგეგმილია, 2 ახალი მინიმოედანი მოეწყობა, რაც საკრებულოს თავმჯდომარე ვარ, ბოლო 1 წელში, 23 ატრაქციონი დავდგით, 14 ლოკაციაზე ტრენაჟორები განვათავსეთ და კიდევ 5-ზე გათვალისწინებულია დამონტაჟება. ვამაყობ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტირებას მაქსიმალურად ვცდილობთ. საბავშვო ბაღისა და სკოლის შენობების უმრავლესობას რეაბილიტაცია უკვე ჩაუტარდა, 1 ახალი ბაღის მშენებლობა უკვე დასრულებულია და დაგეგმილია კიდევ 1 ახალი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობა. ასევე მეამაყება, რომ საკრებულოს გადაწყვეტილებითა და ბიზნესის თანადაფინანსებით, საკათედრო ტაძრის ფასადზე განათება დამონტაჟდა. გარდა ამისა, ყველა იმ პროექტს, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების დაფინანსებით განხორციელდა, მხარი დავუჭირეთ. იყო ეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, სამხატვრო სასწავლებლის, ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია თუ სხვა. პარკში კიდევ ბევრი რამაა დაგეგმილი – შადრევანი, ავტოდრომი... კერძო სექტორიც უნდა დავაინტერესოთ და ჩავრთოთ ამ საკითხში, რომ აქ დასასვენებლად და გასართობად, ყველა პირობა შეიქმნას. ეს პარკი ჩემი ბავშვობის ნაწილია. მეგობრები – შევიკრიბოთო, დავთქვამდით და აქ, პარკის შესასვლელთან, ულამაზეს თაღთან ვხვდებოდით. ეს იყო ჩვენი თავშეყრის ადგილი. თუმცა, აქ, ამ ქალაქში, ყველა კუთხე-კუნჭული ძვირფასია ჩემთვის და ყველა ადგილთან განსაკუთრებული მოგონება, ემოცია მაკავშირებს... ზოგი პროექტის განხორციელება პანდემიამ შეაფერხა, დაფინანსების წყაროების მოძიება ვერ მოხერხდა. ასეთია, მაგალითად სანიჩბოსნო ბაზის მშენებლობა და სამომავლოდ განვახორციელებთ. მინდა, ფოთისთვის მომავალშიც ბევრი რამ გავაკეთო.

– „ბევრ რამეში“ რას გულისხმობთ და კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ ფოთთან დაკავშირებით?

– გეგმა ბევრია უნდა გავაგრძელოთ ცენტრალური პარკის, გზების, წყალარინების და კუნძულის სანაპიროს რეაბილიტაცია, მალთაყვის სანაპიროს უნდა შევძინოთ სიცოცხლე – აქტიურად ვიმუშავებ, რომ დავაინტერესო ინვესტორები და აქ ახალი სასტუმრო კომპლექსები გაჩნდეს, რაც გააცოცხლებს ფოთს. ძალიან მინდა აღვადგინოთ წყალსათხილამურო სპორტის ტრადიცია. ვფიქრობ, მალთაყვის სანაპირო „ფესტივალების ქალაქად“ უნდა მოვიაზროთ.

ფოთი ყოველთვის იყო სამრეწველო ქალაქი, აგრეთვე ტურიზმიც მისი განვითარების პერსპექტივაა. ეს ორივე მიმართულება თანაბრად არის ხელშესაწყობი. საკრებულომ დაამტკიცა მალთაყვის სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა, აქ აქცენტი ძირითადად სპორტულ ტურიზმზეა, თუმცა ვფიქრობ, როგორც ფესტივალებისთვის, საოჯახო სპორტული დასვენებისთვის მაქსიმალურად მიმზიდველი უნდა გახდეს იქაურობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პორტის ახალი ტერმინალის მშენებლობა, რომელიც ქალაქს განავითარებს, სამუშაო ადგილებს გააჩენს, ცხოვრების დონეს აამაღლებს. ვცდილობთ, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ. დაგეგმილია, ქალაქში, მდინარე რიონთან შემოსასვლელი ხიდიდან შესაბამისი მისასვლელი გზების მშენებლობა, რაც ქალაქს სატვირთო მანქანებით დატვირთვას აარიდებს. ამით ის საკითხი გადაიჭრება, რაც დღეს ფოთელებს დისკომფორტს უქმნის.

ცხადია, ჩემთვის პრიორიტეტად დარჩება სოციალური მიმართულება. ჩვენი ბიუჯეტის საკმაოდ დიდი წილი, დაახლოებით 14%, სწორედ სოციალურ საკითხებს ეხება. ვფიქრობ, არის გარკვეული მიმართულებები, რაც მეტ დახმარებას საჭიროებს.. მოგვიწევს ცვლილებები, რომ პრიორიტეტები უკეთ დავსახოთ. პირველ რიგში ბიუჯეტის გაზრდაზე უნდა ვიფიქროთ და შემდეგ მეტის გაკეთების საშუალება გვექნება.

– როგორი ურთიერობა გაქვთ დევნილებთან და მათთან დაკავშრებითაც გაქვთ რამე გეგმები?

– მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს დევნილთა განყოფილება, იძულებით გადაადგილებული ნებისმიერი პირი მოგვმართავს და ჩვენც, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მაქსიმალურად ვეხმარებით, ვშუამდგომლობთ შესაბამის სამინისტროსთან. გამარჯვების შემთხვევაში, მომავალშიც, აქტიურად ვიქნები მათი ინტერესების დამცველი.

– ფოთელებს დისკომფორტს თევზისა და სხვა საწარმოებიდან გამოსული უსიამოვნო სუნიც აწუხებთ. მერმა რა როლი შეიძლება შეასრულოს ამ საკითხის გადაჭრაში?

– ის როლი, რასაც აქამდე ვასრულებთ – აქტიურად ვთანამშრომლობთ, როგორც კერძო სექტორთან, ისე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის უწყებებთან. მნიშვნელოვანია, რომ პრობლემები წლიდან წლამდე მცირდება. საკრებულოს გადაწყვეტილებით, პეტიცია შეიქმნა და შევისწავლეთ გარემო, ასევე – ფოთში მცხოვრები ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა. შედეგების გაანალიზების შემდეგ, პრემიერ-მინისტრის დავალების შესაბამისად, აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეები, რომლებიც სანაპირო დაცვის ბაზასთან ცხოვრობენ, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფილი იქნებიან ახალი საცხოვრებელი სახლებით. ჩემთვის პრიორიტეტი ყველა ფოთელის ინტერესის დაცვაა.

– ვატყობ, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ.

– დიახ, მხარდაჭერას ვგრძნობ ახლობლებისგანაც და ისეთებისგანაც, ვისაც გუშინ, გუშინწინ არ ვიცნობდი. მათ ჩემი იმედი აქვთ. ჩემი მთავარი ამოცანაა, ამ ადამიანებს იმედი არ გავუცრუო. ამ ურთიერთობას, ამ სიყვარულს ძალიან ვუფრთხილდები და მზად ვარ ეს მხარდაჭერა კონკრეტული პროექტებისა და შესრულებული სამუშაოების სახით დავუბრუნო თითოეულ ფოთელს.

ᲑᲔᲥᲐ ᲕᲐᲭᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲐᲢᲝᲠᲘ

ბავშვობის სიყვარული ადამიანის გულსა და გონებაში ისე მძლავრად იდგამს ფესვებს, არასდროს ქრება და თუ ეს სიყვარული დაქორწინებით დაგვირგვინდა – ოჯახის სიმტკიცე გარანტირებულია. ბექა ვაჭარაძე იმ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვშია, ვისაც გაუმართლა და ბედნიერი ოჯახი ბავშვობის სიყვარულთან შექმნა.

ნათია ღაღანიძე ჯერ კიდევ მაშინ შეუყვარდა, როცა სკოლის მოსწავლეები იყვნენ, გარკვეული პერიოდი ისინი ერთ სკოლაშიც სწავლობდნენ. **„ნათია ჩემი ბავშვობის სიყვარულია. როგორც კი დავინახე, მომეწონა. ბევრი საერთო მეგობარი აღმოგვაჩნდა. გაცნობის შემდეგ ერთად დიდ დროს ვატარებდით“,** – იხსენებს კანდიდატი და იმასაც გვიმხელს, რომ ნათიას გულის მონადირებისთვის რამდენიმე წელიც კი დასჭირდა. თუმცა, მთელი ეს პერიოდი საკმაოდ საინტერესოც იყო. მეგობრები განსაკუთრებით გულშემატკივრობდნენ. მათი დამსახურებით ყოველთვის იცოდა, ნათია როდის გამოდიოდა სკოლიდან, როდის რა მარშრუტით მოძრაობდა... ისიც, პატარ-პატარა სიურპრიზებს ყველა ფეხის ნაბიჯზე ახვედრებდა. უქმეებზე, სახლში მყოფი გულისწორისთვის, მისი ფანჯრების წინ, მეგობრებთან ერთად პერფორმანსებსაც აწყობდა. მის მოსახიბლად სირთულეების გადალახვაც უწევდა. ასე მოხდა მაშინ, როცა პოეზიაზე უზომოდ შეყვარებულ ნათიას, ლექსების სწავლასთან მწყრალად მყოფმა, ლექსი სახალხოდ მიუძღვნა. მალე მათი სიყვარულის ამბავი მთელი ქალაქის ახალგაზრდობას მოედო. შესაფერის, კარგ წყვილად მიაჩნდათ და გულშემატკივრობდნენ.

მესამე კურსზე იყო, როცა ცოლად შეირთო. ახალგაზრდა წყვილს გარკვეული პერიოდი მშობლების ხელშეწყობა დასჭირდა. მეოთხე კურსიდან კი, მუშაობა და ოჯახის რჩენა თავად დაიწყო, ოჯახი საზღვარგარეთაც წავიდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლეს, სამშობლოში დაბრუნდნენ და მუშაობაც აქ განაგრძეს. ნათია დღეს საზღვაო აკადემიაში მუშაობს.

7 წლის გოგონა ჰყავთ. ემილი იმ სკოლაში დადის, სადაც მამა სწავლობდა და ძალიან ეამაყება, როცა მასწავლებლები დიდი სიყვარულით იხსენებენ მამის მოსწავლეობის პერიოდს. საკმაოდ აქტიური გოგოა, ყველაფერი აინტერესებს და ყველა წრეზე უნდა სიარული. ამ ეტაპზე, ფიქრობს, რომ მხატვარი გამოვა. დადის ქართულ ცეკვაზე, სიმღერაზე, წყალსათხილამურო სპორტზე... თბილისში ტანვარჯიშზე დადიოდა და წარმატებებსაც მიაღწია. ერთი სული აქვს ფოთში, ახალ სპორტულ კომპლექსში ტანვარჯიშის სკოლა გაიხსნას, რომ იაროს.

მამა-შვილს საოცარი ურთიერთობა აქვთ. თუკი ემილის ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი ხდება, გამოცდა, ღონისძიება ან კონცერტი აქვს, მამა საქმეებს ისე ანაწილებს, რომ აუცილებლად იყოს შვილის გვერდით. ოჯახი მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და წმინდაა. ემილიც მამიკოს ყურადღებითა და უსაზღვრო სიყვარულით პასუხობს. ის ხშირად ახვედრებს მამიკოს სახლში პატარ-პატარა სიურპრიზებს. ბატონი ბექა ამბობს, რომ შვილის ასეთი საქციელი, დედიკოს დამსახურებაა.

თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ატარებს. სამეგობროს თითქმის ერთი თაობის შვილები ჰყავს – ბავშვებიც მეგობრობენ. სხვადასხვა აქტივობას გეგმავენ. ემილი მამასთან და მეგობრებთან ერთად, სათევზაოდაც კი იყო და შთაბეჭდილებების ქვეშ მოექცა. შთაბეჭდილებების ქვეშ, დედაქალაქშიც მუდმივად იყო – გასართობი სივრცეები, კაფეები, ატრაქციონები ძალიან მოსწონს და მამიკოს სთხოვს, როცა ფოთის მერი გახდება, ქალაქში ყველა ეს სიკეთე გააკეთოს. მამამაც, პირველი წინასაარჩევნო დაპირება სწორედ მასთან გასცა – ჰპირდება, რომ თავს არ დაზოგავს და ფოთს ბევრ კარგ საქმეს გაუკეთებს. ემილი მამის მთავარი მოტივატორია.

ემილის მამის გაკეთებული საქმეები უკვე ნანახი აქვს და იცის, როგორი გულანთებულია, როცა ქალაქში რაღაც კარგი ხდება. ის დარწმუნებულია, რომ მამა პირობას აუცილებლად შეასრულებს.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. **2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ფოთის მუნიციპალიტეტზე**, გამოყოფილია 37 210 678 ლარი, დაფინანსდა 123 739 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (4 927 797,4 ლარით 246 284 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (8 772 571 ლარით 97 551 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (17 512 627 ლარით 13 738 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (5 476 224 ლარით 5026 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 836 670 ლარით 2 958 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 962 865 ლარით 3 608 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, ფოთის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 4 937 ბენეფიციარი (171 261 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ფოთში 86%-დან 97.8%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ფოთში,** სტაციონარული მკურნალობით 376-მა (952 959 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 5069 პაციენტმა (372 712 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 4118 ორსული (222 104 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 990. 2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩართო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ფოთის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 890 პირი (364 476 ლ).** 2012 წლის შემდეგ, **ფოთის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ფოთში,** 2013-2021 წლებში, სულ 418 შემთხვევა 1 013 990 ლარით დაფინანსდა.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2017-2020 წლებში, ფოთის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა/მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ქ. ფოთში, აშენდა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალი შენობა (371 700 ლ); **დევნილები:** ქ. ფოთი, მშვიდობის ქ. №8, ყოფილი სასტუმრო „აიეტის“ შენობის რეაბილიტაცია და ახალი კორპუსის მშენებლობა (4 273 914 ლ); ქ. ფოთი, მალთაყვის რაიონი, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შვიდი 5-სართულიანი სახლის მშენებლობა (210 ოჯახი – 9 117 580 ლ); ქ. ფოთში, მალთაყვის უბანი, იძულებით გადაადგილებულ პირთა 32 საცხოვრებელი კორპუსის გარეჰიდრო და თბოიზოლაციის მოწყობა (2 382 163 ლ).

2020 წელს, ფოთის **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსებამ** 618,9 ათასი ლარი შეადგინა.

2012 წლიდან, ფოთის ბიუჯეტიდან ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა/ხორციელდება: მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამა; მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა; სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამის ხარჯები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების პროგრამა; ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკია) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა; კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა; დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ფოთის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 8510 პირი (01.04.2021 წ. მდგომ. 2012 წლის შემდეგ, 2,6-ჯერ – 8 848 598-დან 22 983 246 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2020 წლებში სულ 139 094 315 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ფოთში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 253 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,3-ჯერ – 306 050-დან 1 312 562 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 9 242 387 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ფოთის მუნიციპალიტეტში**, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი 1043 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 3,1-ჯერ – 604 ათასიდან 1865 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 12 405 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 2931 ათასი, შშმ პირებზე – 1066 ათასი, ბავშვებზე – 4741 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ფოთში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1747 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,6-ჯერ – 504 261-დან 2 834 370 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 18 875 565 ლარი.

ფოთის მუნიციპალიტეტში 9310 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 3 169 526-დან 5 093 606 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 40 046 195 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს

ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან, **ფოთის მუნიციპალიტეტში, დაკმაყოფილდა 939 ოჯახი,** მათ შორის: 392 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 386 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 814 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ფოთში, დაფინანსებულია 158 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 493 550 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 276 300 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ფოთის მუნიციპალიტეტზე – 1 458 755 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, ფოთის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 547 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 587. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ფოთის მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 148 ოჯახმა, 2021 წ. – 161-მა (ივნისის მონაც.). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით), მუნიციპალიტეტში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 512 პირი, 2021 წ. – 516 (ივნისის მდგომ.).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 870,9 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 827,3 ათასი ლარი იყო.

ფოთში, 2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში განხორციელდა/ხორციელდება **20-ზე მეტი მუნიციპალური პროგრამა და ქვეპროგრამა,** მათ შორის: სოციალური დაცვის პროგრამება, მარტოხელა დედათა ყოველთვიური დახმარების პროგრამა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამა, ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა, მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარების პროგრამა, ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, უსინათლოების მატერიალური დახმარების პროგრამა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირება, სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მოსახლეობის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის პროგრამა, განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელ პირობებში, ასევე უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება, თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა, შეჭირვებული ოჯახების შეშით უზრუნველყოფის პროგრამა, შინმოვლის პროგრამა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐᲖᲔᲐ ᲒᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ **2012 ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ, 2,5-ᲯᲔᲠ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ. 4-ᲯᲔᲠ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 2-ᲯᲔᲠ – ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, 5,3-ᲯᲔᲠ – ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ 2-ᲯᲔᲠ – ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ. ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲖᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲛ – 65%, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ – 120%-ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ. 600 000-ᲛᲓᲔ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘᲗ.** 2019 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲗᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘᲪ �გᲐ�გᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

2013-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ **ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ-ᲠᲔᲐᲑᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲡ** ᲛᲘᲖᲜᲘᲗ 427 ᲛᲚᲜ 789,3 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, 2017-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ – 289 ᲛᲚᲜ 137,8 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ.

2012-2020 წ.წ. ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 68 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ 4 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 140-ᲛᲓᲔ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ **ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ**, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ „ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲡᲘᲞ – ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲘᲠᲓᲐ 91 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ 1300-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ.

2017-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 42 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ (ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, 19 ᲛᲪᲘᲠᲔᲙᲝᲜᲢᲘᲜᲒᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ) ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ 4 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲠᲔ, ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 2 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 83 ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ „ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲡᲘᲞ – ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲘᲠᲓᲐ 41 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ 500-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ;

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ **608 ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ** ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ (ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ). ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ **145 ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲘ**.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ **ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ** ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ. 2013 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲛ, ᲯᲐᲛᲨᲘ, 300 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲝ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ/ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ/ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ 100 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ. ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ 8 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲥᲡᲔᲚᲡ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ 16 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲝᲙᲐᲪᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲙᲝᲚᲔᲯᲗᲐ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲜ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲐᲨᲔᲜᲓᲐ 2 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ. 10-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲛᲐᲗ�გᲐᲜ 4 ᲙᲝᲚᲔᲯᲨᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘᲡ ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. 14 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ (FABLAB). 2021 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲐᲜ/ᲓᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ/ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ/ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲯᲔᲑᲘ/ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲡᲞᲨᲘ, ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲨᲘ, ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ, ᲩᲮᲝᲢᲐᲣᲠᲨᲘ (�გᲝᲠᲐᲑᲔᲠᲔᲯᲝᲣᲚᲘ), ᲥᲔᲓᲐᲨᲘ, ᲤᲝᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲨᲘ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 5 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ/ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ. 2018 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ „ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ �გᲐᲮᲐᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲣᲚ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲡᲗᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲐ. ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲕᲐᲣᲩᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ; ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲨᲘ; ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ �გᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲑᲐᲖᲝ (9 ᲙᲚᲐᲡᲘ) ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲗᲐᲜ �გᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ; ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲖᲠᲓᲐᲡᲠᲣᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ-�გᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ; �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲐ ᲘᲜᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2,1-ᲯᲔᲠ, ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ **ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ** ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ. **ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ:** ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ/ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ 30 000-ᲛᲓᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ; ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ (ᲡᲢᲘ�პᲔᲜᲓᲘᲔᲑᲘᲡ) ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ; ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲗ, ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ I-II ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲔᲑᲖᲔ (ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ 2 ᲛᲚᲜ 725 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲧᲝᲤᲐᲗ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ Ს�წᲐᲕᲚᲝᲑᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ/ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ (ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ – 285 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲧᲝᲤᲘ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ Ს�წᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲡ (ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ – 5 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲘ); ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲡᲢᲘ�პᲔᲜᲓᲘᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ (ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ – 4,7 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲘ); ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ Ს�წᲐᲕᲚᲐᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ (ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ 2 ᲛᲚᲜ 725 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲧᲝᲤᲐᲗ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ/ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ (ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ – 285 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑ

შესრულებული სამუშაოების შედეგად, ყოველწლიურად იზრდება ფოთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა რაოდენობაც – 2021 წლისთვის საბავშვო ბაღებში 1795 აღსაზრდელია. 2013 წლიდან ფოთის ბაგა-ბაღებში ორჯერადი კვება სამჯერადით შეიცვალა, კვების თანხა თითოეულ აღსაზრდელზე 2.5 ლარამდე გაიზარდა, გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის** პროგრამა დანერგილია 15-ვე სკოლამდელი დაწესებულების 21 ჯგუფში, სადაც 574 აღსაზრდელია ჩართული. 2013 წლიდან დღემდე, სკოლამდელი განათლების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება ეტაპობრივად იზრდებოდა, 2020 წლიდან კი აღმზრდელ-პედაგოგთა ხელფასები 100 ლარით გაიზარდა.

ზოგადი განათლება

ფოთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 საჯარო სკოლა, სადაც 5889 მოსწავლე და 401 მასწავლებელია (მათ შორის 12 – სპეცმასწავლებელი). ქ. ფოთის არაქართულენოვან საჯარო სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის ერთი კონსულტანტ-მასწავლებელი მუშაობს. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 51 სსსმ მოსწავლე. 8 სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, საჯარო სკოლებს 11 ექიმი და 2 ფსიქოლოგი ემსახურება. 11-ვე სკოლას 25 მანდატური ემსახურება.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ ქ. ფოთში განახორციელა სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის: 2015-2018 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით 23 სასკოლო პროექტი დაფინანსდა, 2017-2019 წლებში – 19 პროექტი. 2019-2021 წლებში, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები (**„ახალი სკოლის“** მოდელი) დაინერგა ქ. ფოთის 16 საჯარო სკოლაში. ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** აღჭურვის 24 და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 1 პროექტი განხორციელდა, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით** 8 საჯარო სკოლა აღიჭურვა. 2015-2019 წლებში, **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 34 პროექტი განხორციელდა. **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, ქალაქ ფოთის №2 საჯარო სკოლას - 19, №1 საჯარო სკოლას - 29, №3 საჯარო სკოლას - 30, №12 საჯარო სკოლას - 23 ლეპტოპი გადაეცათ.

მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში 1 საჯარო სკოლის (2 მიმართულება) 47 მოსწავლეა ჩართული. 2017-2020 წლებში, სკოლებს, ჯამში, 925 **სასკოლო ჟურნალი** და 133696 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცა. 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს საჩუქრად 3712 კომპიუტერი გადაეცათ, 147 – კლასის დამრიგებლებს, 74 – წარჩინებულ მოსწავლეებს. ამავე პერიოდში ქ. ფოთის საჯარო სკოლებში, ჯამში, 151 **ოქროს და ვერცხლისმედალოსანი** გამოვლინდა. ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენის, განვითარებისა და წახალისების მიზნით, **2014-2016 წლებში,** სხვადასხვა პროექტი 56 ათასი ლარით დაფინანსდა.

2013-2019 წლებში ქ. ფოთში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 59 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 3 მლნ 094, 2 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, **2013-2018 წლებში,** ქ. ფოთის საჯარო სკოლების **ნაწილობრივი რეაბილიტაციის** 37 პროექტი განხორციელდა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილი მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა. ადაპტირებულია 12. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში ქ. ფოთის 4 საჯარო სკოლაა ჩართული.

2013 წელს ქალაქ ფოთში განხორციელდა 9 სკოლის რეაბილიტაცია (ჯამურად 188,6 ათასი ლარი). **2014 წელს** – 5 სკოლის რეაბილიტაციაზე ჯამურად, 505,5 ათასი ლარი დაიხარჯა. **2015 წელს** 8 სკოლის რეაბილიტაცია ჯამურად 1 მილიონ 134 ათასი ლარით დაფინანსდა. **2016 წელს** 7 საჯარო სკოლის რეაბილიტაციას სულ 136 ათასი ლარი მოხმარდა. **2017-2021 წლებში –** ფოთში 9 სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა, რაზეც დაახლოებით 1 მლნ ლარი დაიხარჯა. 2018-2020 წლებში, 10 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 600 ათასი ლარით დაფინანსდა.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით 2019 წელს, საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 7 პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 327,1 ათასი ლარით დაფინანსდა. სხვადასხვა სახის სამუშაოები ჩატარდა ქ. ფოთის №1, №3, №4, №5 საჯარო სკოლებში, ასევე, განხორციელდა ქალაქის №6, №7, №8 და №11 საჯარო სკოლების გარე ტუალეტების დემონტაჟი. **2020 წელს** – ქ. ფოთის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 15 პროექტზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 552,1 ათასი ლარი დაიხარჯა. სხვადასხვა სახის სამუშაოები ჩატარდა №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №12, №15 საჯარო სკოლებში. **2019-2020 წლებში,** ქ. ფოთში, განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 30 პროექტი, **2020-2021 წლებში** კი 10 სკოლის სარემონტო სამუშაოებზე, ჯამში, 500 ათასი ლარი დაიხარჯა.

პროფესიული განათლება

ფოთში ფუნქციონირებს სსიპ კოლეჯი „ფაზისი“, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და მანქანა-დანადგარებით. მრავალპროფილური კოლეჯი ადაპტირებულია (სველი წერტილები, ლიფტი, პანდუსები) შშმ პირებისთვის. 2016 წლიდან მოწყობილია სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია („ფაბლაბი“).

2017-2019 წლებში, ქ. ფოთის საჯარო სკოლებში, პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, 9 პროექტი განხორციელდა. **2020 წლიდან** კოლეჯმა მოიპოვა ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი. **2020-2021 სასწავლო წელს ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებში** კოლეჯის 34 სტუდენტია ჩართული. **2021 წლის მიღების ფარგლებში,** დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, ისწავლონ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე **„სკოლამდელი აღზრდა“.** ქ. ფოთის მერიასა და კოლეჯს შორის დადებული მემორანდუმით, უზრუნველყოფილი იქნება პრაქტიკა სააღმზრდელო დაწესებულებებში. კურსდამთავრებულებზე გაიცემა პროფესიული დიპლომი და მათ მეხუთე საფეხურის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მიენიჭებათ. **2021 წლის მდგომარეობით,** ფოთის მუნიციპალიტეტში, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 5 პროგრამა ხელმისაწვდომია 2 დაწესებულებაში.

2019-2020 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 292,2 ათასი ლარით დაფინანსდა კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 16,6 ათასი ლარით – ზოგადი მოდულების ინტეგრირების განხორციელების მიზნით მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა. **2020-2021 წლებში** კოლეჯში აშენდა სახელოსნოები. **2013-2020 წლებში** სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 7 მლნ 117,8 ათასი ლარი შეადგინა.

2020 წლის 27 ოქტომბერს, ფოთში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი გაიხსნა. თანამედროვე, ტექნოლოგიური სტანდარტებით აღჭურვილი ფოთის ფილიალი 1000 პროფესიულ სტუდენტზეა გათვლილი.

კოლეჯში თანამედროვე სიმულატორებით აღჭურვილი 10 ლაბორატორია მოეწყო. სასწავლებელი სრულად ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდება (სულ – 250, დღეისათვის 21 პირი).

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი 2021 წელს პირველად მიიღებს სტუდენტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. 2021 წლის მიღების ფარგლებში, კოლეჯი დაინტერესებულ პირებს 10 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სთავაზობს. მსურველებს ასევე შეუძლიათ მოკლევადიანი სასწავლო კურსების გავლა.

კოლეჯს გააჩნია მეზღვაურთა მაღალკვალიფიციური რიგითი და დამხმარე შემადგენლობის წვრთნის პირობები, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნებს უპასუხებს. მეთევზე-მეზღვაურთა ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე მეთევზის სიმულატორით. სასწავლებელი მოამზადებს კვალიფიციურ მეთევზე მეზღვაურებს, რომლებიც თანამედროვე თევზსაჭერ გემებზე შეძლებენ დასაქმებას; აღსანიშნავია, რომ სიმულატორის შეძენა მეთევზე-ლიცენზიანტებმა დააფინანსეს. AIP ტერმინალის მხარდაჭერით, სასწავლებელს ექნება ამწის სიმულატორი, რომლის ანალოგი საქართველოში არ არსებობს. კოლეჯი მოამზადებს ამწეს კვალიფიციურ ოპერატორებს, რაც ერთ-ერთი მოთხოვნადი სპეციალობაა პორტებში.

კოლეჯი ფოთში, ყოფილი პროფესიული სასწავლებლის ახალ რეაბიტირებულ შენობაში განთავსდა. სარეაბილიტაციო სამუშაოები განათლების სამინისტრომ, 2019-2020 წლებში, 5 მლნ 876,1 ათასი ლარით დააფინანსა.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; ეტაპობრივად გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება;
- სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულებაში განახლდება ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: №1, №11, №12, №16 და №17 საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტი (1 მლნ 500 ათასი ლარი); დაგეგმილია ახალი ბაღების მშენებლობა ბარათაშვილისა და 26 მაისის ქუჩებზე – თითოეულს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 3 მლნ 500 ათასი ლარი მოხმარდება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალისშრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის **განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების** პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ფოთში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2021-2024 წლებში დამატებით 10 სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაციაა დაგეგმილი. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 800 ათას ლარს შეადგენს; დაგეგმილია გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (სკოლის შემოღობვა, საპირფარეშოების სრული ადაპტაცია – რეაბილიტაცია, ელექტროგაყვანილობის, სპორტული გასახდელებისა და სპორტდარბაზის, ასევე, გარე სპორტული მოედნების რეაბილიტაცია); №8, №11, №12 საჯარო სკოლებში იგეგმება სამედიცინო კაბინეტების მოწყობა;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდებაუმაღლესიგანათლებისსისტემისდაფინანსებისახალიმოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების **ხარისხის** განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-�პᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ფოთში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი კულტურული დაწესებულებები: ა(ა)იპ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება, ა(ა)იპ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებელი, ა(ა)იპ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი, ა(ა)იპ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმიფო თეატრი და ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი.

2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 416 ათასი ლარი შეადგინა.

2014-2018 წლებში ფოთში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. სისტემატურად იმართება სახალხო დღესასწაული „ფაზისობა“, ეწყობა წიგნის პრეზენტაციები, სემინარები, კონცერტები, გამოფენები, ფესტივალები, პოეზიის საღამოები, სპექტაკლები, მნიშვნელოვანი თარიღებისა და ღვაწლმოსილი პიროვნებებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვ.

2018-2019 წლებში: ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში 45 საგამოფენო-სამეცნიერო ღონისძიება ჩატარდა, მუზეუმს კი 9700 ვიზიტორი სტუმრობდა; ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანებას 8067 მკითხველი ეწვია; ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულმა სახელმიფო თეატრმა 156 წარმოდგენა გამართა, მათ შორის, 12 პრემიერა.

2020 წლისთვის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრში 500 პირი იყო გაერთიანებული. მიმდინარე წლის 3-5 იანვარს, ცენტრმა – სტუდიამ „ანა-ბანა“, სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდიამ „მზის გული“ და მუსიკალურმა სტუდიამ „ენკი-ბენკი“ გამართეს საანგარიშო კონცერტები.

სახელოვნებო ცენტრთან არსებულ ფოლკლორის ცენტრში გაიხსნა დამატებითი წრეები და თეატრალური ჯგუფი.

2013-2021 წლებში, საერთო ჯამში, ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმს, 18 101 დამთვალიერებელი სტუმრობდა. იმავე პერიოდში მუზეუმში 40 სხვადასხვა თემატური გამოფენა მოეწყო. 2018 წელს მუზეუმი საქართველოს ეროვნული მუზეუმების გაერთიანებაში შევიდა.

2014-2021 წლებში კულტურის სფეროში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მათ შორის, 2014-2021 წლებში, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 1 მლნ 20,5 ათასი ლარი დაიხარჯა, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები კი 969,7 ათასი ლარით დაფინანსდა. მათ შორის: 2014-2020 წლებში – ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების შენობისა და სამკითხველო დარბაზის რეაბილიტაციაზე, საერთო ჯამში, 31, ათასი ლარი დაიხარჯა.

2015 წელს – ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში შეიცვალა ადმინისტრაციული შენობის ამორტიზებული სახურავის საფარი (27,5 ათასი ლარი). **განხორციელდა:** მუზეუმის მე-2 სართულის საგამოფენო დარბაზებში ჭერისა და ხის ფანჯრების, კიბის უჯრედისა და კიბის საფეხურების რეაბილიტაცია, ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის საგამოფენო დარბაზების, მეტალოპლასტმასის ფანჯრების, დამხმარე სათავსოს, შიდაეზოს, პანდუსის მოწყობა (56 ათასი ლარი).

2014-2021 წლებში – არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის რეაბილიტაციაზე 30 ათასი ლარი დაიხარჯა, ხოლო სასწავლებლის ერთი კორპუსის სრულ რეაბილიტაციას 185 ათასი ლარი მოხმარდა.

2017 წელს – განხორციელდა **ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის** რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტი, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 ათასი ლარი დაიხარჯა.

2016-2018 წლებში – განხორციელდა ნიკო ნიკოლაძის კოშკის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, ნიკო ნიკოლაძის ავეჯის რესტავრაცია. პროექტი „ქართუ ჯგუფის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და 562 ათასი ლარი დაიხარჯა.

2021 წელს დასრულდა სამხატვრო სკოლის სრული რეაბილიტაცია ქ. ფოთში (თამარ მეფის ქუჩა №17), რაც 800 ათასი ლარით დააფინანსეს „ქართუ“ ფონდმა და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ.

მიმდინარეობს მხატვართა სახლის (ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №54) სრული რეაბილიტაცია, სამუშაოებს ფონდი „ქართუ“ და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო 200 ათასი ლარით აფინანსებს.

მიმდინარეობს ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის რეაბილიტაცია. სამუშაოთა 80%-ზე მეტი დასრულებულია. პროექტის ღირებულება 796 ათასი ლარია და ის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა(რგპფ) და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

რეგიონებში კულტურის მხარდაჭერის მიზით, კულტურის სამინისტრომ არაერთი პროექტი განახორციელა, რაზეც 1 მლნ 517 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, **2017 წელს,** ჩატარდა რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი (ქ. ფოთი); სამინისტრომ სადადგმო ხარჯით უზრუნველყო ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი ახალი სპექტაკლების განსახორციელებლად, ხელი შეუწყო თეატრს გასტროლების გამართვაში; 2015-2019 წლებში კი დააფინანსა თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ფოთში, **კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით,** 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები **„დასავლეთ საქართველოს ცნობილი და უცნობი კულტურული მარშრუტები“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 32,3 ათასი ლარი) და **„მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხვა და შესწავლა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 19,7 ათასი

ლარი).

ფოთს ფარავს კულტურული მარშრუტები **„ალექსანდრე დიუმას კვალდაკვალ"** და **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში",** რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

2020 წელს – თანამედროვე ხელოვნების ფესტივალების კონკურსის ფარგლებში, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ 17, 5 ათასი ლარით დაფინანსდა პროექტი – **ქუჩის ხელოვნების ფესტივალი „ნიკო",** რომელმაც მოიცვა სხვადასხვა რეგიონი – ქუთაისი, ბათუმი, აბაშა, ფოთი, თბილისი, რუსთავი.

სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

ქალაქ ფოთში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული დაწესებულებები: ქ. ფოთის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება, ა(ა)იპ რაგბის სასპორტო სკოლა „კოლხი რაინდები", ა(ა)იპ ხელბურთის კლუბი „ოქროს ვერძი" და ა(ა)იპ სპორტისა და ტურიზმის ცენტრი **(ცენტრში შემავალი სპორტული სახეობებია:** აფროსნობა, წყალსათხილამურო სპორტი, კალათბურთი, ჭადრაკი და შაში, კრივი, ძიუდო, სამბო, ქართული, თავისუფალი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძალოსნობა, ტაეკვანდო, უშუ, კარატე-დო, ფეხბურთი, აკადემიური ნიჩბოსნობა, კანოე და ბაიდარებით ნიჩბოსნობა, ცხენოსნობა, ძალისმიერი სამჭიდი და მძლეოსნობა).

უკანასკნელი, წლებში, ფოთში სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკისადმი მიდგომა ძირეულად შეიცვალა, რასაც 2014-2020 წლებში, ფოთის მცხოვრებთა სპორტული წარმატებებიც ცხადყოფს.

2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 81,5 ათასი ლარი შეადგინა.

2014-2021 წლებში – სპორტის და ახალგაზრდული მიმართულებებით, ფოთში დაახლოებით 180 ღონისძიება განხორციელდა, მათ შორის – ქ. ფოთის ღია პირველობები კრივში, კანოეთი და ბაიდარებით ნიჩბოსნობაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, თავისუფალ, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სამბოში, ძიუდოში, წყალსათხილამურო სპორტში, აფროსნობაში, ცხენოსნობაში, ფეხბურთში, კალათბურთში, რაგბსა და პლაჟის ფეხბურთში, შაშში, ჭადრაკში. გაიმართა, სმინარები, დებატები, ლაშქრობები, პრომოტურები, ექსკურსიები დევნილებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდულ და საგანმანათლებო სპორტულ ღონისძიებებში ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობამ, 2014-2020 წლებში, მკვეთრად იმატა.

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის – „საზოგადოების ჩართულობაზე ორიენტირებული თვითმმართველობის განხორციელება ქალაქ ფოთსა და აბაშის მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, ფოთში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი მათთვის საინტერესო თემებზე. პროექტი განხორციელდა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასთან, აბაშის მუნიციპალიტეტთან, გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრსა და სტუდენტურ-ახალგაზრდულ სათათბიროსთან პარტნიორობით. იმავე პროექტის ფარგლებში, ჩატარდა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანიც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ჯგუფების გაძლიერება, აქტიური მოქალაქეობის დანერგვა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა იყო.

2017-2018 წლებში პირველად ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქალაქის ღია პირველობა მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

2017 წელს ფოთში პირველად გაიმართა რეგიონული სპორტული ოლიმპიადა მინიკალათბურთში საჯარო სკოლების მოსწავლე გოგონათა და ვაჟთა შორის. ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული, ქალაქ ფოთის პირველობები საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის მძლეოსნობაში, ხელბურთში, მინიფეხბურთში, გეზრბენში, მინიკალათბურთსა და „მხიარულ სტარტებში".

2014-2019 წლებში საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებებისათვის ფულადი ჯილდოთი დაჯილდოვდნენ წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები.

სამინისტროს მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული, აღინიშნა საერთაშორისო დღე – **„სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის".**

პროექტის, **„ახალგაზრდული იდეა ფოთს",** ფარგლებში, კუნძულის სანაპირო ზოლზე მოწყო „ფამფტრეკი".

გაეროს განვითარების ფონდის დაფინანსებით, მარტოწყალას ტბაზე მოეწყო ინფრასტრუქტურა, რაც მნიშვნელოვანია სპორტული თევზჭერისა და ტურიზმის განვითარების კუთხით.

2020 წელს ფოთის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მიერ დაგეგმილი იყო 7 საბიუჯეტო პროექტი (ფოთის მოხალისე, ევროკავშირის და ნატოს დღეები, ახალგაზრდების ინიციატივების პროგრამა, კიბერთამაშების ფესტივალი, ინტელექტუალური თამაშების ფესტივალი, ეკოტურისტული ბანაკი, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე) და 11 არასაბიუჯეტო პროექტი. საბიუჯეტო პროექტებზე გამოყოფილი იყო 52 ათასი ლარი. ქვეყანაში შექმნილი **კოვიდპანდემიური ვითარების გამო,** რიგი ღონისძიებების განხორციელება ვერ მოხერხდა.

2014-2021 წლებში ფოთში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი განხორციელდა. მათ შორის: სტადიონის რეაბილიტაცია – 2 მლნ 498 ათასი ლარი; ქ. ფოთში სპორტული მოედნების მოწყობა (9 აპრილის ხეივნის №23, №25, №27, მიქაბერიძის ქ. №1) – 50 ათასი ლარი. **2015 წელს** მინისტადიონის მოეწყო ჩეხოვის ქუჩაზე, რასაც 26,7 ათასი ლარი მოხმარდა, 2017 წელს კი მინისტადიონი მოეწყო არაგვისპირელის ქუჩაზე – 14,4 ათასი ლარი.

2020-2021 წლებში, მინისტადიონების მოწყობა-რეაბილიტაციის 17 პროექტის განხორციელებას, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 760,2 ათასი ლარი მოხმარდა.

2014 წელს, ფოთში, ფონდ „ქართუს" ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო **სარაგბო ბაზა აშენდა,** რომელიც 3000 მაყურებელზეა გათვლილი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისადაა აღჭურვილი. პროექტის ღირებულება 4,2 მლნ ლარია.

2017 -2018 წლებში ქ. ფოთის სტადიონის რეაბილიტაციაზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 1 მლნ 505,5 თასი ლარი დაიხარჯა.

2017 წელს ნ. ჟვანიას ქუჩაზე მდებარე სპორტული დარბაზის კაპიტალურ შეკეთებაზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან, 548,8 ათასი ლარი დაიხარჯა.

2018-2020 წლებში ქ. ფოთში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის პროექტირება-მშენებლობაზე, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, 14 მლნ 500,1 ათასი ლარი დაიხარჯა.

2019-2020 წლებში ქ. ფოთის ქუჩებზე, სკვერებსა და მოედნებზე გარესავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორების) დადგმის **42 პროექტი** განხორციელდა, რასაც, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საერთო ჯამში 608,5 ათასი ლარი მოხმარდა.

კუნძულის სანაპირო ზოლზე აშენდა მინი სპორტული მოედანი და ჩოგბურთის კორტები. აიგო **მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი,** დიდი (25X16 მ) და მცირე (10X8 მ) საცურაო აუზებით. სივრცეში განთავსებულია 100 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა. კომპლექსს აქვს სპორტული მოედანი, 160 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნებით, ცალკეა ფიტნესდარბაზი. ახალი კომპლექსი საშუალებას იძლევა, სპორტით დაინტერესებულმა ადამიანებმა კეთილმოწყობილ გარემოში ივარჯიშონ, სპორტის მრავალ სახეობაში გაიმართოს ტურნირები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეებზე. პროექტის ღირებულება 14,5 მლნ ლარია.

2019 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ქ. ფოთის უეფას მესამე კატეგორიის საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის ბოლო ეტაპი. პროექტის საერთო ღირებულება 5 მლნ 300 ათასი ლარია. სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება.

დასრულების ეტაპზეა საფეხბურთო აკადემიის მშენებლობა სამეგრელოს ქუჩაზე (4 მლნ ლარი).

სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა კრივის დარბაზში.

სისტემატურად მიმდინარეობს მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- კულტურული მემკვიდრეობის 66 უძრავ ძეგლს გაუკეთდება საანოტაციო დაფა;
- 2021-2024 წლებში დაგეგმილია ფოთის მუზეუმის რეაბილიტაცია;
- 2020-2022 წლებში დაგეგმილია ფოთის ფოლკლორის ცენტრის (600 ათასი ლარი), მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის (300 ათასი ლარი), სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის (200 ათასი ლარი) რეაბილიტაცია;
- ოტია ჯაიანის სამხატვრო სკოლის ბაზაზე გაიმართება ანიმაციური ფილმების ფესტივალი, სადაც მოწვეული იქნებიან ბავშვები საქართველოს რეგიონებიდან და უცხოეთიდან;
- ქალაქის ტურისტული პოტენციალის ამაღლების მიზნით, მომდევნო წლებში ფოთში აშენდება საერთო სტანდარტების შესაბამისი ამფითეატრი, რომელიც საერთაშორისო ფესტივალებს უმასპინძლებს (400 ათასი ლარი);
- ქალაქში დაგეგმილია ახალი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია-მშენებლობა, რაზეც, 2020-2022 წლებში, 600 ათასი ლარი დაიხარჯება;
- იგეგმება მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის რემონტი პროგრამის – „განახლებული რეგიონების" ფარგლებში;
- 2021-2022 წლებში, პლაჟის ფეხბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, დაგეგმილია პლაჟის მოედნის მშენებლობა, რომელიც უნივერსალური იქნება სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის (პლაჟის ფეხბურთი და ფრენბურთი, 200 ათასი ლარი).
- ხელი შეეწყობა ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

მოგეხსენებათ, ჩვენი ქალაქი ერთ-ერთი პირველი თვითმმართველი ქალაქია, რომელსაც ნიკო ნიკოლაძის მიერ წამოწყებულმა ინოვაციურმა მიდგომებმა უნიკალური შესაძლებლობები მისცა.

დღეს ჩვენ გვჭირდება წარმატებული ქალაქის ახალი მოდელი, სადაც განხორციელებული პროექტები ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე იქნება მორგებული. მოსახლეობა კარგად ხედავს, რამდენი სასიკეთო პროექტი განხორციელდა ქალაქში ბოლო წლების განმავლობაში. რაც შეეხება ამ ეტაპზე არსებულ პრობლემებს, გზების, სანაპირო ზოლისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგების საკითხს, გარწმუნებთ, ამ მიმართულებებით სამუშაოები უმოკლეს ვადებში დასრულდება. ჩვენ შემუშავებული გვაქვს განვითარების გრძელვადიანი ხედვა თითოეული სფეროს მიმართულებით. ზუსტად ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ ინფრასტრუქტურის, სპორტის, კულტურის, განათლებისა და ეკოლოგიის სფეროებში.

ფოთს აქვს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი, ამისთვის კი აუცილებელია, რომ ბიზნესის წარმომადგენლები მაქსიმალურად დავაინტერესოთ და ინვესტიციები სწორედ ამ მიმართულებით განახორციელონ. ასევე, მნიშვნელოვანია, სრულად ავითვისოთ ქალაქში არსებული უნიკალური სივრცეები, დავასრულოთ დაწყებული პროექტები, მყისიერად ვუპასუხოთ ახალ გამოწვევებს და მომდევნო 4 წლის განმავლობაში, აქტიურად ვიზრუნოთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე. ფოთელების პრობლემების შესწავლისა და გადაჭრის საკითხებში ინტენსიურად ვარ ჩართული და ამ საქმეში თქვენი აქტიური მხარდაჭერის იმედი მაქვს. ცოდნითა და შრომით ერთად შევძლებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას!

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.